

წინამდებარე სახელმძღვანელო ექიმის მიერ ელექტრონული რეცეპტის სისტემის მოხმარების დეტალური ინსტრუქციის ნაწილია, ამიტომ მასში არაა განხილული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორებიცაა ელექტრონული რეცეპტის სისტემაში რეგისტრაცია და შესვლა, დანიშნულებებისა და რეცეპტების ნახვა, ახალი დანიშნულების შექმნა და სხვა.


ვგულისხმობთ რა, რომ ეს ყველაფერი ექიმისთვის ცნობილია, ცალკე გამოყოფთ ე.წ. „პროგრამული მედიკამენტების“ ნახვისა და ახლის შექმნისათვის საჭირო ქმედებების აღწერას. ამ მიზნით ქვემოთ განვიხილავთ „პროგრამული მედიკამენტების“ მენიუს.

მენიუ „პროგრამული მედიკამენტები“

მენიუს ამ განყოფილებაში, პაციენტის იდენტიფიცირებისა და „მეზნაზე“ დაკლივის შემდეგ, გამოდის ე.წ. პროგრამული მედიკამენტების დანიშნულებები. აღსანიშნავია, რომ ეს დანიშნულებები არ ჩანს არც „რეცეპტები“-ს, არც „დანიშნულებები“-ს მენიუში. ამ სახის დანიშნულების გამოწერის პრინციპი იგივეა, რაც ზოგადად დანიშნულებისა, თუმცა არის განსხვავებები, რომლებსაც დეტალურად განვიხილავთ.

„პროგრამულ მედიკამენტზე“ დანიშნულების საწინააღმდეგო უნდა შეხვიდეთ მენიუში „პროგრამული მედიკამენტები“ და დააკლივთ „დანიშნულებებს“ (იხ. სურათი 37).

სურათი 37



არჩეულ პაციენტზე გამოდის დანიშნულებების ჩამონათვალი შემდეგი მონაცემებით (იხ. სურათი 38):

დანიშნულების შექმნის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

მედიკამენტის აღწერა (სავაჭრო დასახელება, გენერიკი, აქტიური ნივთიერება და დეტალური აღწერილობა);

გამოწერილი რაოდენობა;

ფარმაკოლოგიური ჯგუფი;

გამომწერი (მე ან სხვა; ექიმი არ კონკრეტდება);

მიღების წესი;

რეცეპტის უნიკალური ნომერი (ამ დანიშნულებებს ყოველთვის აქვთ რეცეპტის ნომერი);

რეცეპტის მოქმედების ვადა (წელი, თვე, რიცხვი);

ნარჩენი რაოდენობა (მიუთითებს ამ მომენტისთვის მედიკამენტის არარეალიზებულ რაოდენობას;

სტატუსი.


აღსანიშნავია, რომ ყველა პროგრამულ მედიკამენტს ენიჭება რეცეპტის ნომერი; რეცეპტის ნომერი განსაკუთრებულია და იწყება "F3S"-ით, განსხვავებით სტანდარტულია ("F3E"); ასევე რეცეპტის მოქმედების ვადა სტანდარტულად 14 დღეს შეადგენს (იხ სურათი 38, წითლად მონიშნული).

სურათი 38

დანიშნულება	შენიშვნა	რაოდ.	ფარმკოლოგიური ჯგუფი	ეფი	მიღების წესი	რეცეპტის ნომ.	ვადა	ნარჩენი რაოდ.	სტატუსი
28/03/2020	comb. drug / ლევოდოპა / Levodopa Carbidopa / 250მგ/25მგ ტაბლეტი №100	14	კარკინომების სანარკოტიკო პრეპარატები. დოპა და დოპამინობუნებულები	მე	დღეში ერთხელ	F3S10000002205	2020-03-11	14	აქტიური


ასევე აღსანიშნავია, რომ „პროგრამული მედიკამენტის“ რედაქტირება შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ მისი წაშლა (იხ. სურათი 39); ამასთან, წაშლის წესები იგივეა, რაც ჩვეულებრივ დანიშნულებაში.

სურათი 39



განსხვავებულია დანიშნულების ბეჭდვის წესი; კლავიშა „ბეჭდვა“-ზე დაკლიკვით გამოდის ფანჯარა, რომელიც გთავაზობთ ბეჭდვის ორ ვარიანტს (იხ. სურათი 40).

სურათი 40



ბეჭდვის პირველი ვარიანტი ემნის მონიშნული დანიშნულებების PDF ფაილს ისევე, როგორც ჩვეულებრივი დანიშნულებების შემთხვევაში. ამასთან, თუ არაა მონიშნული ცხრილის არც ერთი სტრიქონი, ბეჭდვის ეს ვარიანტი არააქტიურია.

განსხვავებაა PDF ფაილის შინაარსში; სტანდარტულს დამატებული აქვს ინფორმაცია მედიკამენტის ფასის და პაციენტის თანაგადახდის პროცენტის შესახებ; ასევე გამოდის იმ ფარმდამამუშავებლების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელია მედიკამენტის შექმნა (იხ. სურათი 41, წითლად მოხაზული);

სურათი 41

დანიშნულება	
ექიმი: სატესტო 1 გვარი 1	28/03/2020 18:56:38
პაციენტი: 35001026095 ივანე გოლიაძე 08/12/1959	
<p>რეცეპტი: F3S1000000191 მედიკამენტი: comb. drug / მადოპარა / Levodopa benserazide hydrochloride / 125მგ (100მგ+25მგ) კაფსულა №100 მიწის ფლაკონში</p> <p>გამოწერის თარიღი: 2020-03-27 ვადა: 2020-04-10 გამოწერილი რაოდენობა: 21 მიღების წესი: დღეში 1</p> <p>ამ პროგრამული მედიკამენტის შექმნა შევიძლიათ შემდეგ ავთიაქებში: ქსპ ფარმას, გუგაშის ადერსი-ფარმა</p> <p>დანიშნულების გამოწერის თარიღში ერთჯერადი ფასი შეადგენს 0.000-ლარს</p>	
<p>რეცეპტი: F3S1000000190 მედიკამენტი: Lamotrigine / ლამოტრიჟი 100მგ / Lamotrigine / 100მგ ტაბლეტი №30</p> <p>გამოწერის თარიღი: 2020-03-27 ვადა: 2020-04-10 გამოწერილი რაოდენობა: 55 მიღების წესი:</p> <p>ამ პროგრამული მედიკამენტის შექმნა შევიძლიათ შემდეგ ავთიაქებში: ქსპ ფარმას, გუგაშის ადერსი-ფარმა</p> <p>დანიშნულების გამოწერის თარიღში ერთჯერადი ფასი შეადგენს 0.000-ლარს</p>	

ბეჭდვის მეორე ვარიანტს არჩეულ პაციენტზე გამოაქვს ამ პაციენტისთვის ხელმისაწვდომი ყველა „პროგრამული მედიკამენტის“ ჩამონათვალი ფასის და პაციენტის მხრიდან თანაგადახდის პროცენტის ჩვენებით, ასევე, დანიშნულებას მიწერილი აქვს ის ფარმდაწესებულებები, სადაც შეიძლება მისი შეძენა.

შესაძლებელია ცხრილის დაფილტვრა დაავადებათა ჯგუფების მიხედვით (იხ. სურათი 42).

სურათი 42

სახელმწიფო	საფარო ფასსაზე (ინგ)	საერთო არასაქონლო ფასსაზე (ცენტრიკო)	საერთო ფინანსური რესურსები	პროგრამის დიაგნოზი	დარმაკოლოგიური ჯგუფი	შეარბილებელი ეფექტი	პროგრამული ჯგუფი	შეფარების ფასი	პაციენტის თანაგადახდის პროცენტი	ფარმ ფანდები
500მგ	Depakine® chrono 300mg		Valproate Sodium Valproic Acid	200მგ კარბამაზეპინის გენერალური ექვივალენტი №100	ანტიეპილეფტიკური, ციმბიფანი	საფარგული	ებოლესია	0.00	25	მაკარმაკს გეო-ფარმა-დამა
500მგ	Depakine® chrono 500mg		Valproate Sodium Valproic Acid	500მგ კარბამაზეპინის გენერალური ექვივალენტი №30	ანტიეპილეფტიკური, ციმბიფანი	საფარგული	ებოლესია	0.00	25	მაკარმაკს გეო-ფარმა-დამა
	Carbamazepine	carbamazepine	Carbamazepine	200მგ ტაბლეტი №100 (10x10)	ანტიეპილეფტიკური, ციმბიფანი	რემანტი	ებოლესია	0.12	25	სს გეო
	Lamictal	Lamotrigine	Lamotrigine	25მგ ტაბლეტი №30 (3X10)	ანტიეპილეფტიკური	პოლირეტი	ებოლესია	0.00	25	მაკარმაკს გეო

„პროგრამული მედიკამენტის“ დანიშნულების გამოწერა

მას შემდეგ, რაც „პროგრამული მედიკამენტები“-ს არჩეულია პაციენტი, კლავიშა „დამატება“-ზე დაკლიკვით (იხ. სურათი 42) შევდივართ „პროგრამული მედიკამენტის“ დანიშნულების გამოწერის სპეციფიურ ფორმაში (იხ. სურათი 43).

სურათი 43

თარიღი	მედიკამენტი	რაოდ.
27/03/2020	Lamotrigine / ლამოტრიგინი ნორმონი 25მგ ფოსფორიტის/საფარგული ექვივალენტი EFG / Lamotrigine / 25მგ ფოსფორიტის/საფარგული ექვივალენტი №56	120
27/03/2020	comb. drug / ლევოსინი / Levodopa Carbidopa / 250მგ/25მგ ტაბლეტი №100	140
27/03/2020	comb. drug / ლევოსინი / Levodopa benserazide hydrochloride / 125მგ (100მგ+25მგ) კაფსულა №100 მრის ფლკონი	21
27/03/2020	Lamotrigine / ლამოტრიგინი 100მგ / Lamotrigine / 100მგ ტაბლეტი №30	95

იცის რა არჩეული პაციენტის მონაცემები, სისტემა გთავაზობთ ამ პაციენტისთვის შესაძლებელი დაავადებების ჯგუფებიდან აირჩიოთ ერთ-ერთი (იხ. სურათი 44, „აირჩიეთ ჯგუფი“); სათანადო ჯგუფის არჩევის შემდეგ აუცილებელია მიუთითოთ (აირჩიოთ) პაციენტის ავადმყოფობის შესაბამისი ICD-10 კოდი (იხ. სურათი 44, „აირჩიეთ ICD-10“).

სურათი 44

მხოლოდ ამ ორივე მონაცემის მითითების შემდეგ გამოდის არჩეული ჯგუფის მედიკამენტების ჩამონათვალი, საიდანაც შეგიძლიათ აირჩიოთ საჭირო მედიკამენტი (იხ. სურათი 45). მხოლოდ მედიკამენტის არჩევის შემდეგ ფორმის ბოლოში გამოჩნდება კლავიშა „დადასტურება“ (მისი განთავსების ადგილი სურათზე მითითებულია წითელი ისრით). ამ კლავიშზე დაკლიკვით დაასრულეთ მედიკამენტის არჩევა.

სურათი 45

სურათი 45									
საქმის კვეთი	საქმის ICD-10	შეფასების ტანა							
საქმის კვეთი	ICD-10 შეიქმნა საქმისთვის. გამოწვეულია გარდაცემის მიხედვით								
საქმის დასახელება(სართი)	საქმის დასახელება(სართი)	საქმის არასტანდარტული დასახელება (ცენტრი)	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია
ლუმი	LUVM02B	საქმის კლასიფიკაცია	Levodopa Carbidopa	250მგ/25მგ ტაბლეტი №100	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია
შეფასების ტანა	Medgar®	საქმის კლასიფიკაცია	Levodopa Carbidopa	250მგ/25მგ ტაბლეტი №100	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია



არჩეულ მედიკამენტზე გამოდის დანიშნული მედიკამენტის ფორმა (იხ. სურათი 46); რომელიც სტანდარტულისგან განსხვავებულ რამდენიმე მონაცემს შეიცავს:

მარჯვენა მითითებულია მედიკამენტის ის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის გამოწერაც შეუძლია ექიმს პაციენტის ლიმიტის გათვალისწინებით;

ვადა ავტომატურად 14 დღეა, ამიტომ მისი შეტანა არ ხდება;

ექიმის მიერ გამოწერილი დანიშნულების პაციენტამდე მიტანა შესაძლებელია საქართველოს ფოსტის დახმარებითაც განხორციელდეს (აღნიშნული მოქმედებს მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში). ამის თაობაზე გადაწყვეტილებას ექიმი იღებს. ის ფორმის მარცხენა დაბალ კუთხეში მონიშნავს „მიეწოდება საქართველოს ფოსტით“, რის შემდეგაც გამოდის ქალაქის/რაიონის ასარჩევი ფანჯარა, მისამართის ჩასაწერი და კონტაქტის მისათითებელი ველები. ამ ველების ზუსტი და დეტალური შევსება პაციენტამდე მედიკამენტის უპრობლემოდ მიტანის გარანტიაა. თუ ექიმი არ ფლობს ზუსტ მისამართს (ქალაქი/რაიონის და მისამართის ველები), მაშინ რეკომენდებული არაა აღნიშნული მონიშვნის გაკეთება.

სურათი 46

დანიშნული მედიკამენტის ფორმა

მედიკამენტი: comb. drug / ლუმი / Levodopa Carbidopa / 250მგ/25მგ ტაბლეტი №100

დანიშნული რაოდენობა: 14 გამოსანერად დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა 1300

ვადა: 11/04/2020 დღე

14

მიღების წესი: ფილი ერიობელი

მიწოდება საქართველოს ფოსტით: აბა წველების 158

საკონტაქტო ნომერი: 444567890

დადასტურება

ასეთი სახით გამოწერილი დანიშნულება დაემატება პროგრამული დანიშნულებების ცხრილს (იხ. სურათი 47).

ცხრილში გამოტანილი მონაცემები ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილი დანიშნულებების ცხრილის შემთხვევაში.

სურათი 47

დანიშნულები	შეფასების ტანა	მედიკამენტი	რაოდ.	დარმაკოლოგიური ქსელი	ეტიმი	მიღების წესი	რეცეპტის ნომ.	ვადა	ნარჩენი რაოდ.	სტატუსი
28/03/2020	comb. drug / ლუმი / Levodopa Carbidopa / 250მგ/25მგ ტაბლეტი №100		14	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	საქმის კლასიფიკაცია	F351000000205	2020-04-11	14	აქტიური


პაციენტის პროფაილი და პაციენტის სამახსოვრო

შეგახსენებთ, რომ ახალი დანიშნულების (მათ შორის პროგრამულ მედიკამენტზეც) გამოწერის პროცესში გამოდის პაციენტის მონაცემების ფორმა (იხ. სურათი 47), რომლის კლავიშა „გაგრძელება“-ზე დაკლიკვით ვაგრძელებთ დანიშნულების გამოწერის პროცესს.

ამჯერად განვიხილოთ დანარჩენი ორი კლავიშის მნიშვნელობა:

თქვენ შეგიძლიათ ამ ფორმაში ჩაასწოროთ პაციენტის მონაცემები და დაიმახსოვროთ შესწორებები კლავიშით „დამახსოვრება“ (იხ. სურათი 48). ეს საშუალებას გაძლევთ შემდგომში არაერთხელ გამოიყენოთ ერთხელ დამახსოვრებული „პაციენტის პროფაილის“ მონაცემები.

სურათი 48




The screenshot shows a web form titled 'პაციენტის პროფაილი' (Patient Profile). It contains several input fields: 'პირადი ნომერი' (Personal Number) with value 35001026095, 'სახელი და გვარი' (Name and Surname) with value ივანე გიორგიძე, 'დაბ. თარიღი' (Date of Birth) with value 08/12/1959, 'ელ-ფოსტა' (Email), and 'მობ. ტელ.' (Mobile Phone) with value 577222838. At the bottom, there are three buttons: 'აბრეშტა' (Cancel), 'დამახსოვრება' (Save), and 'პაციენტის სამახსოვრო' (Patient's Record). The 'დამახსოვრება' button is circled in red.

აღნიშნული ფორმიდან ასევე ხორციელდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის ინფორმირებულობას. კერძოდ, ამ ფორმიდან ხდება „პაციენტის გვერდზე“ შესასვლელი რეკვიზიტების გადაცემა პაციენტისთვის (ეს მონაცემები წერია პაციენტის სამახსოვროში). აღნიშნულის ქმედებისთვის დააჭირეთ კლავიშას „პაციენტის სამახსოვრო“ (იხ. სურათი 49).

შემოთავაზებული საშუალებიდან პაციენტთან შეთანხმებით უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი: ეკრანზე გამოტანა, ელ.ფოსტაზე გაგზავნა, SMS-ით გაგზავნა. ამასთან, გააქტიურებულია ის საშუალება, რომლის შესაბამისი მონაცემი არსებობს პაციენტის პროფაილში. პროცესის შეწყვეტა შეგიძლიათ ფორმის დახურვით, რისთვისაც უნდა დააკლიკოთ ფორმის მარჯვენა მაღალ კუთხეში განთავსებულ სიმბოლს "X" (იხ. სურათი 49).

სურათი 49



The screenshot shows the same patient profile form as in Figure 48, but with a modal dialog box open. The dialog box contains three buttons: 'გვერდზე გამოტანა' (Display on page), 'ელ. ფოსტაზე გაგზავნა' (Send via email), and 'SMS-ით გაგზავნა' (Send via SMS). The 'გვერდზე გამოტანა' button is circled in red. In the background, the 'პაციენტის სამახსოვრო' button is also circled in red. There is also a red circle around the 'X' close button in the top right corner of the form.

არჩეული საშუალების შესაბამისად პაციენტის სამახსოვრო გამოდის ეკრანზე PDF ფაილის სახით და შეგიძლიათ მისი დაბეჭდვა („ეკრანზე გამოტანა“), იგივე ფაილი შეიძლება გაგიზავნოს პაციენტის ელ.ფოსტაზე („ელ.ფოსტაზე გაგზავნა“), ან მიეწოდოს მას SMS-ით („SMS-ით გაგზავნა“).